



Tbilisi Open Teaching University

დამტკიცებულია სენატის

2019 წლის 20 თებერვლის №93

დადგენილებით

## თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების

### ფორმირების წესი

#### თავი I. ზოგადი დებულებები

##### 1.1. რეგულირების სფერო

წინამდებარე აქტი აყალიბებს კერძო სამართლის იურიდიული პირის, შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) და მისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლის) მართვის ორგანოების:

- სენატის
- რექტორის
- ვიცე-რექტორის
- ხარისხის მართვის დეპარტამენტის
- სკოლის საბჭოს
- დეკანის

ფორმირების (არჩევის/დანიშვნის) წესს და პროცედურებს.

1.2. წინამდებარე წესი შემუშავებულია „ საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს შრომის კოდექსის, უნივერსიტეტის დებულების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

#### თავი II. სენატის ფორმირების წესი

2.1. სენატის ფორმირება ხდება არჩევითობის და თანამდებობრივი პრინციპის საფუძველზე. სენატის არჩევითი წევრები არიან აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები და კურსდამთავრებული, ხოლო თანამდებობრივად სენატში შედიან უნივერსიტეტის რექტორი (სენატის თავმჯდომარე), ვიცე-რექტორი, ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი, სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი (სენატის მდივანი), დეკანი და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

2.2. სენატში აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს სკოლის საბჭო პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2.3 კურსდამთავრებულს სენატის წევრად შეარჩევს უნივერსიტეტის რექტორი სკოლის საბჭოების მიერ წარმოდგენილი კანდიდატურებიდან (თითოეული სკოლა წარმოდგენს კურსდამთავრებულის 1 კანდიდატურას).

2.4. სენატის არჩევითი წევრების უფლებამოსილების ვადაა 3 წელი.

2.5. სენატში აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლების რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი სკოლის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის პროპორციულად:

სკოლის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რ-ბა	სკოლის ქვოტა
20 და ნაკლები	1
21-50	2
51 - 100	3

2.6. სენატის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) გარდაცვალება;
- გ) სასამართლოს მიერ გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;
- დ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება;
- ვ) უნივერსიტეტის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, სხვა შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციების სისტემატური დარღვევა;
- ზ) საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

2.7. სენატის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ახალი წევრი სენატში შედის წინამდებარე აქტით განსაზღვრული წესისა და პროცედურის შესაბამისად.

2.8. სენატში შეიძლება მოწვეულ იქნან პროფესიული ასოციაციები, დამსაქმებლები და სხვ. სათათბირო ხმის უფლებით.

2.9. სენატის არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ბრძანებას. ბრძანებაში აღინიშნება კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყების და დამთავრების ვადები, არჩევნების თარიღი სკოლების მიხედვით და სხვა ინფორმაცია.

2.10. არჩევნების დანიშვნის შესახებ ბრძანება საჯარო გაცნობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით, განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე 2 კვირით ადრე.

2.11. სენატის წევრების (აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი) და წევრობის კანდიდატის (კურსდამთავრებული) არჩევა ხდება სკოლის საბჭოს მიერ სკოლის დებულების და ამ წესის შესაბამისად. გამარჯვებულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე პირ(ებ)ი.

2.12. სენატი თავის პირველ სხდომაზე, რომელიც იმართება არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან **5** დღის ვადაში, ცნობს თავის უფლებამოსილებას.

### **თავი III. სენატის ფორმირების პროცედურა**

3.1 სენატის წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციას, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, ახორციელებს სკოლის საბჭოს მდივანი.

3.2 სკოლის საბჭოს წევრ აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს შეუძლია საკუთარი ან სხვისი კანდიდატურის წარდგენა. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია რეგისტრაციის ვადის დარღვევა.

3.3 სკოლის ნებისმიერ კურსდამთავრებულს შეუძლია მხოლოდ საკუთარი კანდიდატურის წარდგენა. კურსდამთავრებული განცხადებასთან ერთად წარმოადგენს სამოტივაციო წერილს და

ავტობიოგრაფიას (CV). რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია რეგისტრაციის ვადის დარღვევა და მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოდგენლობა.

3.4. საარჩევნო ბიულეტენი დგება ცალკეული სკოლების მიხედვით. საარჩევნო ბიულეტენების ფორმირება ხდება სკოლის საბჭოს მდივნის მიერ, მისი პასუხისმგებლობის ქვეშ.

ბიულეტენში აღინიშნება:

- უნივერსიტეტის და სკოლის დასახელება;
- მართვის ორგანოს სახელწოდება;
- სკოლის ქვოტა;
- ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი.

3.5 დაუშვებელია ერთ პირზე ერთზე მეტი ბიულეტენის გაცემა.

3.6 ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენებზე სათანადო აღნიშვნითა და მისი საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

3.7 ბიულეტენი ბათილია, თუ:

- შემოხაზულია სკოლისთვის განკუთვნილ ქვოტაზე მეტი კანდიდატურა;
- შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.

3.8. არჩევნების ორგანიზებას ახდენს სკოლის დეკანი. არჩევნების ორგანიზება-ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.

3.9. ბიულეტენებს ითვლის ხმის დამთვლელი კომისია (მინიმუმ 3 წევრი), რომელიც აირჩევა სკოლის საბჭოს მიერ სხდომის დანებებისთანავე.

3.10 არჩეულად ითვლება არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატი/კანდიდატები.

3.11. იმ შემთხვევაში თუ სკოლისთვის დადგენილი ქვოტით განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტმა კანდიდატმა დააგროვა ხმების თანაბარი რაოდენობა, შესაბამის კანდიდატებს შორის ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.

3.12. განმეორებითი კენჭისყრის მოსამზადებლად ცხადდება შესვენება და საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს ახალი ბიულეტენების ფორმირებას.

3.13. იმ შემთხვევაში, თუ განმეორებითმა კენჭისყრამაც ვერ გამოავლინა სენატის წევრობის კანდიდატ(ებ)ი, არჩევნების შედეგები უქმდება და ცხადდება ახალი არჩევნები.

3.14. არჩევნების შედეგები აისახება სკოლის საბჭოს ოქმში.

3.15. კენჭისყრის შედეგად სკოლის საბჭოების მიერ გამოვლენილ კურსდამთავრებულთა კანდიდატურებიდან სენატის წევრის შერჩევა ხდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ა) კურსდამთავრებულის სარეიტინგო ქულა (GPI);
- ბ) პროფილით მუშაობის გამოცდილება (სტაჟი);
- გ) აკადემიური ხარისხი.

3.16 სენატის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება.

## **თავი IV. მართვის სხვა ორგანოების ფორმირების წესი**

### **4.1. სკოლის საბჭო**

4.1.1. სკოლის საბჭოს შემადგენლობაში შედის სკოლის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4 - ზე ნაკლები.

4.1.2. სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების სკოლის საბჭოში შეყვანის პროცედურას განსაზღვრავს სკოლის დებულება.

4.1.3. სკოლის საბჭოს შემადგენლობა განახლებას ექვემდებარება აკადემიური კონკურსის შედეგების საფუძველზე და საბჭოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში.

#### **4.2. რექტორი**

4.2.1. რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელსაც 3 წლის ვადით ნიშნავს უნივერსიტეტის დამფუძნებელი.

#### **4.3. ვიცე-რექტორი**

4.3.1. ვიცე-რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელსაც 3 წლის ვადით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

#### **4.4. ხარისხის მართვის დეპარტამენტი**

4.4.1. უნივერსიტეტის ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

4.4.2. დეპარტამენტის თანამშრომლებს სამსახურის უფროსის წარდგინებით ნიშნავს რექტორი.

#### **4.5. დეკანი**

4.5.1. სკოლის დეკანს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

### **თავი V. დასკვნითი დებულებები**

5.1. წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ.